ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N01.316.01
დამტენი მოწყობილობები
(CPV – 31600000)
გამარტივებული შესყიდვა

ქ. თბილისი **„17“ იანვარი, 2024 წელი.**

ერთის მხრივ, საქართველოს **შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“** (მისამართი: ქ. თბილისი, ლისის ქ. N1ა, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, ს/კ - 205390487) (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ირაკლი ბერეკაშვილის სახით, და მეორეს მხრივ

მიმწოდებელი: შპს „ლუმენი“ **ს/ნ: 436032696**

მისამართი: ქ. თბილისი, ასი ათასი მოწამის N21 **ტელ: 577 77 49 67** info@lumen.ge

დირექტორი: შოთა ვასაძე

საბანკო რეკვიზიტები: სს „თიბისი ბანკი“; ბ/კ TBCBGE22, GE35TB 78 7393 6080 1000 01

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის და შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკური სამმართველოს **2024 წლის 16 იანვრის N130839** პატაკის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც დამოწმებულია ელექტრონული კვალიფიციური ხელმოწერით და/ან ელექტრონული კვალიფიციური შტამპით, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
1.6 „საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანი არის: **ავტოსატრანსპორტო საშუალებების ციმციმები**
2.2 დაფინანსების წყარო - **2024 წლის საკუთარი შემოსავლები.**
2.3 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა, რაოდენობა და ერთეულის ღირებულება განისაზღვრება დანართი N1 ით,რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს: **745.00 (შვიდას ორმოცდახუთი) ლარს.**
3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს საქონლის მიწოდება **2024 წლის 26 დეკემბრის ჩათვლით.**
ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე.
გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.
4.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;
ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
5.2 შემსყიდველის მხრიდან უფლებამოსილი მხარე - შსს სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის

უფლებამოსილი პირ(ებ)ი.
5.3 ,,საგარანტიო პერიოდის განმავლობაში, ნაკლის აღმოფხვრა ან ნაკლიანი ნივთის შეცვლა ხორციელდება ნივთებზე თანდართული საგარანტიო ბარათის პირობების შესაბამისად“

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:
ა) ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
ბ) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.
6.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან **10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.**

7. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

7.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.
7.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-9 მუხლის შესაბამისად.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეებს შესაძლოა დაეკისროთ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების **0.5%**-ის ოდენობით;
8.2. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.
8.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შეთანხმების გარდა.
9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
9.3 დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
9.4 ფასის გაზრდა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში. ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
9.5 ხელშეკრულების ღირებულების შემცირება დასაშვებია ფაქტობრივად მიწოდებული საქონლის ღირებულების გათვალისწინებით.
9.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც განხორციელებულია ამ მუხლის მოთხოვნათა დაცვით, წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10. დავების გადაწყვეტა

10.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2025 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

13. დაუძლეველი ძალა (ფორს-მაჟორი)

13.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

13.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

დანართი N1

დასახელება	**რაოდენობა**	**ერთეულის ღირებულება**	**ჯამი**	**საგარანტიო ვადა**
ციმციმა TBG-506-4 C4-BM	1	745.00	745.00	მონტაჟიდან 12 თვე

Irakli Berekashvili 01031004275

Digitally signed by Irakli Berekashvili
Date: 2024.01.17 17:29:08

Shota Vasadze 33001018172

Digitally signed by Shota Vasadze
Date: 2024.01.17 17:53:04